სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 8250 72401
Pგანათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, II კორპუსი, II სართული, დეკანატი–ოთახი №27
ტელ.: 8350 27-11-76; E-mail: edu.faculty@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი**
პროფესიული განათლების საფეხური	IV
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	პროფესიული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
სწავლის ხანგრძლივობა	50 კვირა
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	90 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი	1. ასოც. პროფესორი დარეჯან გაგნიძე, ტელ.: 895194075
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	მოამზადოს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გამოყენებადი ცოდნა დიზაინის დარგის სამ მომიჯნავე ასპექტში - ტანსაცმლის კონსტრუირების ტექნიკურ ასპექტში, მხატვრულ ასპექტსა და ქსოვილის დამუშავების ტექნოლოგიაში; მომიჯნავე ასპექტების ერთობლივად ფლობა აამაღლებს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის კვალიფიკაციას და გააფართოებს მისი დასაქმების არეალს. ქალაქ თელავში და ჩვენს რეგიონში უკვე არსებობენ კერძო სამკერვალო საწარმოები, რომლებიც განიცდიან ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების (დიზაინერების, ტექნოლოგების, კონსტრუქტორების და მკერავების) დეფიციტს. ჩვენი კურსდამთავრებულები შეავსებენ ამ დეფიციტს და თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სწავლის და მიღებული ცოდნის გამოყენების ანუ დასაქმების პროცესი, იწვევს ახალგაზრდის პიროვნულ განვითარებას. წარმატებული ბიზნესი და შრომის ბაზარი მოითხოვს: ურთიერთპატივისცემას, ტოლერანტობას, სხვისი აზრების მოსმენას და მათი მოთხოვნების გათვალისწინებას. ყოველივე ეს

	გარკვეული წინაპირობაა დემოკრატიული და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების მქონე პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ამ პიროვნულ მახასიათებლებს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს კურსდამთავრებულთა კარიერისათვის. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მოამზადოს მაღალი ხარისხის, პრაქტიკულ ცოდნაზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ წარმატებულ განხორციელებას.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული **სწავლის შედეგები**	.იცნობს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების ტექნიკურ და მხატვრულ ასპექტებს. 2.ფლობს სხვადასხვა ტიპის, დანიშნულებისა და ხასიათის ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების თავისებურებებს. ერკვევა ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლებში. 3. იცნობს: სხვადასხვა სირთულის დეტალებისა და ტანსაცმლის მოდელების კონსტრუირების კანონებსა და წესებს ქსოვილის ხასიათის გათვალისწინებით. 4.ერკვევა თავისუფალი მეთოდით სპეციფიკური ქსოვილის შექმნის ტექნოლოგიასა და მოცულობითი ფორმების არქიტექტონიკაში. 5.იცნობს კოსტიუმისა და სტილის ისტორიას. 6.აქვს ხატვისა და ფერწერის ელემენტარული უნარი. 7.ადეკვატურად აღიქვამს კომპოზიციურ ამოცანას და შეუძლია მისი შეფასება. 8. ფლობს კონკრეტული დარგის ათვისებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიას. ფლობს სახვითი ხელოვნების დიდაქტიკას.
დასაქმების სფერო	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს მცირე და დიდ საწარმოებში, სადაც იქმნება დეკორატიული ქსოვილები